წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

კვირა, 18 სექტემბერი

სამშობლო

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 440 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 440

მწუხარებაში მყოფნი მშობლები სამსონ ევნატეს ძე ბაბუნაშვილი და მეუღლე მისი ისაკია სიმონის ასული, შვილები მათი ალექსანდრე და თამარა, რძალი აგრაფინა ალექსანდრე დარჩიას ასული და შვილები მისი ლია, მილიცადა, გლავირა, დისწულები გარდაცვალებულისა ჩიტო, ქორეიკა გიორგის ძე და ასული ჩაჩუები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ტრაღიკულათ დაღუპვას 11 ამი თვეს, ველოსიპედით სეირნობის დროს ფერმის ქუჩაზე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

სერგო (ბუჟა) სამსონის ძის ბაბუნაშვილისას,

მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება ოლასკურის სასაფლაოზე 18 სექტემბერს, დღით კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოასვენებენ მესამე ალექსანდროვის ქუჩიდან, საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველ საღამოს 6 საათზე. ცალკე წერილები არ დარიგდება. 309—3—1

მწუხარებასა შინა მყოფნი მეუღლე იულია ტიმოთეს ასული გვანცელაძისა, შვილები მისი თამარა და გიორგი, დედა, ეკატერინე გაბრიელის ასული მელიტონ გვანცელაძისა, დები ნინა მელიტონის ასული კეპულაძისა, ნადია მელიტონის ასული დვიდოვისა, მარიამი და სონია; სიძეები: ალექსანდრე სიმონის ძე კეპულაძე, ევგენი ტიმოთეს ძე დავიდოვი; ძმები: მიხეილ, სიმონ, კოლია და გიორგი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 18 ენკენისთვეს მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის სამიწადმომქმედო კომისიის მუდმივი წევრის

ნოე მელიტონის ძის გვანცელაძის

სულის მოსახსენებლათ, რომელიც გარდაიცვალა 10 აგვისტოს ქ. იამბურგში. 311—1—1

ქვრივი ნინო მამუკას ასული ხოჭოლავასი, მამა, ძმები, დები, სიძეები, რძლები, სიდედრი თურქიასი. ცოლის ძმები, ცოლის დები და ქვისლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 10 სექტემბერს ქალ. პიატიგორსკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი

ბიქტორ ივანეს ძე ხოჭოლავა.

ნეშთის ქუთაისში მოსვენების და დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

უზომო მწუხარებაში მყოფნი მშობლები ვასილი და ალექსანდრა ქორქაშვილები, შვილები მათი ნინო ლორთქიფანიძისა, ლევანი, ქეთევანი და თამარი, რძალი ციცინო და სიძე ალექსანდრე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ბრძოლის ველზე გმირულათ სიკვდილს ძვირფასი შვილის და ძმის

კოწიასას,

რომლის დაკრძალავა, მოხდება სოფ. გეგუთში 20 ენკენისთვეს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. 312—1—2

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ხევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი ი. ჩარქძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით 12½—2 საათ. საღ. 6—8 საათ მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.

ტელეფონი № 135. თ.

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავად მყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ჯუჯკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3

ტელეფონი № 101. თ.

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დიდიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

პარასკევიდან, 16 სექტემბრიდან

ვინ დაღუპა.

თანამედროვე დრამა სამ ნაწილად; ბარანცევიჩის, მირატის, ჯემაროვის, სტრნიკოვის და კნორრის მონაწილეობით; ბარანცევიჩის ნოველის „ტყის დარაჯი ქალი“-ს მიხედვით

ვინ არშიყობს,

სახუმარო. კორტიშკინის მონაწილეობით.

ა ნ ო ნ ს ი: ოთხშაბათიდან, 19 სექტემბრიდან **განსაკუთ ებით დიდებისათვის**

1 რიგი. **მხედარ B-ეს საარშიყო თავგადასავალი.**

დრამა ხუთ ნაწილად ცნობილ მსახიობთა გარიჩევასა და საიმპერატორო თეატრების მსახიობის პოლონსკის მონაწილეობით.

გაწვრთნილი თუთიყუში. სახუმარო.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

პარასკევიდან, 16 სექტემბრიდან.

ვისაც უყვარს, ის გაიგებს.

ორიგინალური დრამა 4 ნაწ. მხატვართა ცხოვრებიდან ჩერნოვას და ტურჟანსკის მონაწ.

სახუმარო სურათი **ცოლის შერთვა მინდა.** სახუმარო სურათი

ა ნ ო ნ ს ი: ორშაბათიდან, 19 სექტემბრიდან:

სულის ნიღაბი

კინო პიესა 4 დიდ ნაწილად ანნა მარის სცენარით. სერბიის სამეფო თეატრის რეჟისორის მიერ დადგმული ანდრეევისა. გსავსკის, პეტიპას, სავიცეის, პავლოვას, მურატოვას, რუტკოვსკაიასა და ნერონოვის მონაწილეობით.

ლამაზი მოვაჭრე ქალი სახუმარო.

სეზონის პირველი წარმოდგენა დასაწყისი.

კვირას, 18 სექტემბერს 1916 წ.

წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის დრამა

მთის ზღაპარი

3 მოქმ.

მონაწილეობენ: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ჩხეიძე ა., ჩხეიძე ნ., ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია.

რეჟისორი *** რეჟისორის თანაშემწე ალ. გუგუშვილი. გამგეობის მორიგი წევრი ე. მეფისაშვილის ასული.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადმინისტრაცია დრამატ. საზ. გამგეობისა.

მსოფლიო ომი.

დეპეშები

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

16 ენკენისთვე

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის დასავლეთით მტერი შეეცადა ჩვენს თხრილებს მოახლოვებოდა, მაგრამ მოვიგერიეთ. 14 ენკენისთვეს, საღამოთი, ქ. პინსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირემ დიდძალი ყუმბარები დაგვიშინა, შემდეგ მტრის პატარა რაზმები იერიშითაც წამოვიდნენ, მაგრამ მაშინვე სროლით შევაჩერეთ. ბუბნოვისა, სვინიუხისა და კორიტნიცის მიდამოებში ბრძოლა განახლდა. მოპირდაპირე თავგამოდებით იბრძვის და განმეორებითი სამაგიერო იერიშებით მოდის და ჩვენს შეტევას აჩერებს.

ბალტიის ზღვაზე. 13 ენკენისთვეს დილით ჩვენმა საზღვაო ჰაეროპლანებმა ლეიტენანტ გორკოვენკოს უფროსობით მტრის ჰაეროპლანების სადგურზე მიიტანეს მარჯვე იერიში ანგერინის ტბასთან და ყუმბარები დაუშინეს. მტრის ოცი ჰაეროპლანი შეებრძოლა ჩვენსას. უთანასწორო ბრძოლის დროს, სამწუხაროდ დაიღუპა სახელოვანი ლეიტენანტი არსენი გორკოვენკო თავისი ჰიდრო-ჰაეროპლანით.

15 ენკენისთვე

ბუქარესტი. რუმინეთის ოფიციალური ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. ყალიმანის მთებში და გირგიუში (დიერდიო) ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლა იყო. სიბიუს (გერმანშტატის) სამხრეთით ცხარე ბრძოლა გრძელდება. ჟიუს ველში ჩვენმა ჯარმა იერიშით უკუ აგდო მტერი და სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით დაახევინა. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი და 100 ტყვე, მათ შორის 2 აფიცერი. სამხრეთის ასპარეზზე ზარბაზნებით ბრძოლა იყო. დობრუჯაში სიწყნარეა.

13 ენკენისთვეს მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს ბუქარესტსა და ბუქარესტის სამხრეთით მდებარე სოფლებს. ყუმბარებმა იმსხვერპლა დედაკაცები და ბავშვები. „ცეპელინმა“ ბუქარესტს 14 ენკენისთვეს ცეცხლის მომდები ყუმბარები დააყარ. მოჰკლეს 1 დედაკაცი, 1 დასჭრეს. „ცეპელინი“ ჩვენმა ზარბაზნებმა განდევნეს ტოპლიცის მიდამოებში მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

რიგა. 14 ენკენისთვეს რიგის გარეუბნებს მტრის ჰაეროპლანი დასტრიალებდა. სროლა ავტეხეთ. ჰაეროპლანი მტრის ბანაკისაკენ მიეფარა.

16 ენკენისთვე

ოდესა. რუმინეთიდან მიღებულ ცნობებით, წარსულ კვირას 10 ათასი ოსმალო ჯარისკაცი, მცირე აზიის ასპარეზიდან წამოყვანილი, ადრიანოპოლზე გაატარეს და ბულგარეთ რუმინეთის ასპარეზზე გაისტუმრეს.

ლონდონი. დღეს დილით ჩვენი საზღვაო ჰაეროპლანები ბრიუსელის მახლობლად თავს დაეცნენ მტრის ჰაეროპლანების სადგურებს ევერსა, ბერხენსა, სიტაგატსა და ეტერმეხში. სჩანს, სადგურები დააზიანეს, რადგანაც სქელი ბოლი ამოვარდა ნასროლ ადგილიდან, ჩვენი საფრენები უვნებლად დაბრუნდნენ.

საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარ შტაბის ცნობა. ჩვენ ოკურლაბეს აღმოსავლეთის სიმაღლეებს მივაღწიეთ. ტიენვალის ჩრდილო აღმოსავლეთით ერთის შეტევით ავიღეთ ადგილი, ეგრედ წოდებული „ტყის კიბე“. კომბლში დიდძალი სურსათი დაგვჩა დავლად. კომბლის აღების დროს და წინა ორი კვირის განმავლობაში ტყვეთა რიცხვი 10 ათას უდრის. გუშინ მტრის 2 საფრენი დავღუპეთ, ჩვენი 2 საფრენი აღარ დაბრუნებულა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

საბერძნეთის ახალ პრემიერს მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების დასაახლოვებლად გადაუწყვეტია კაბინეტის ზოგი წევრები დაითხოვოს.

— —

როცა ერთ ამერიკელ კორესპონდენტს ვენიზელოსისათვის უკითხავს სოლუნის აჯანყებულთ სათავეში თქვენ უდექით თუ არა, მას უპასუხნია, არ ვიცი ჯერ როგორ გიპასუხოთო.

— —

ვენიზელოსის აზრით თუ საბერძნეთი ეხლავ არ ჩაებმება ომში მოკავშირეთა სასარგებლოდ, როცა გამარჯვებული მოკავშირენი სეპარატიულ ზავით შეეკვრიან ბულგარეთს, აღმოსავლეთ მაკედონიას მას მიაკუთვნებენ, რადგანაც ჩვენი ნებით შემოუშვით ჩვენ ბულგარებიო.

— —

ფლორინის ღელის აღმოსავლეთით ბანიცის მიდამოებში სასტიკი ბრძოლები მომხდარა; ბულგართა იერიშები სერბიელებს მოუგერებიათ.

— —

მოკავშირეთა ფლოტის მიერ აღმოსავლეთ მაკედონიის სრული გარემოცვა დამყარდა.

— —

იტალიის მთავარი შტაბის აზრით, იტალიელთა წინსვლამ დიდი დახმარება გაუწია მოკავშირეებს. ბოლო დროს ავსტრიელებს კარგა ძლიერი ჯარი გადმოუყვანიაო იტალიის ასპარეზზე.

— —

რეიხსტაგის გახსნამდე გარეშე საქმეთა სტატს სეკრეტარი ფონიაგოვი პარტიის წარმომადგენლებთან საიდუმლო ბჭობას

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. რიგიდან დაწყებული პრიპიატამდე გერმანელები ამოძრავდნენ. მათ მოწინავე რაზმებს იერიშები მოაქვთ. ენერგიულად ამოქმედნენ გერმანელები აგრეთვე ბუპინოკ სვინიუხისა და კოსიტნიცას მიდამოებში.

კავკასიის ასპარეზი. საყურადღებო არა მომხდარა რა.

დასავლეთის ასპარეზი. სომმაზე მოკავშირეებმა კვლავ წინ წაიწიეს ფრანგების წინააღმდეგ გერმანელებს იერიშები მიაქეთ, მაგრამ ფრანგები იგერიებენ.

იტალიის ასპარეზი. ცნობა არ მოსულა.

რუმინიის ასპარეზი. ჩრდილოეთით უმნიშვნელო ბრძოლებია. სიმიუს სამხრეთით სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ქიმთან რუმინელებმა წინ წაიწიეს. დობრუჯაში სიწყნარეა.

მაკედონიის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.

გამართავს, რომელზედაც, სხვათა შორის, გაზეთების აზრით, აღძრავენ ზავის შესაძლებლობის საკითხს.

— —

ხმებია ვითომც რეიხსტაგის პირველ სხდომაზე კანცლერი დიდ სიტყვებს წარმოსთქვამს, რომელშიაც სულ ახალ შეხედულებას გამოსთქვამს თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობაზედ.

— —

ავსტრიის პირველ მინისტრს ტისას განუცხადებია, ტყუილია ხმები ავსტრიასა და გერმანიას შორის არსებულ განხეთქილების შესახებ, პირიქით ომის განმავლობაში ეს ორი სახელმწიფო უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენო.

— —

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიამ გალიციაში რუსების წინსვლის შესაჩერებლად ოსმალეთის ჯარები გაიწვია, გერმანელთა ჯარი სტამბოლიდან არ გადის და ფაქტიურად სტამბოლის მიდამოებს მფლობელობს.

— —

ამასწინად სალონიკში შემდგარ რევოლიუციონერთა რაზმები ბრძოლის ველზე მოსულან ბულგარელთა წინააღმდეგ. გამგზავრებას წინ პარაკლისი გადაუხდიათ და მანიფესტაცია მოუხდენიათ.

— —

მოკავშირეთა პრესის ცნობებით მაკენზენი დობრუჯიდან მაკედონიაში წასულა და ეხლა იქ გაუწევს ხელმძღვანელობას ბულგარეთის ჯარს.

— —

გერმანიაში დიდ პროპაგანდას ეწევიან ახალ სამხედრო სესხზე ხელის მოსაწერად და გაზეთებში ათავსებენ ჰინდენბურგის ფაქსიმილეს, რომელშიაც იგი იძახის, გერმანია იარაღითა და ფულით გაიმარჯვებსო.

— —

გერმანულ გაზეთების ცნობით რეიხსტაგის სესია ხანგრძლივი იქნება.

— —

გენ. სარაილით უკმაყოფილება საფრანგეთში იქამდე მისულა, რომ რამდენიმე გაზეთს პირდაპირ მოუთხოვია მისი გადაყენება.

— —

ავსტრიაში ხალხი მოითხოვს რეიხსრატის მოწვევას, მაგრამ მთავრობა ამ მოთხოვნილებას ყურადღებას არ აქცევს.

— —

ვენიზელოსი კუნძულ კრიტოსზე წასულა, რათა მეამბოხეთ სათავეში ჩაუდგეს.

— —

ყოფილ მილიონერ ემერიკოსს მთელი თავისი ქონება „ნაციონალურ თავდაცვის კომიტეტისათვის“ შეუწირავს.

— —

გერმანიის სამხედრო მინისტრს ჯამაგირი 1800 მარკით შეუმცირეს, კორპუსის უფროსებს 650 მარკით, დივიზიის უფროსებს 180 მარკით, კაპიტნებს და როტმისტრებს კი 140 მარკით.

— —

„ტამსის“ ცნობით გერმანელებს 1917 და 1918 წლის ჯარში გაწვეულები ბრძოლის ველზე ჯერ არ გაუგზავნიათ.

— —

ინგლისური გაზეთების აზრით გერმანელებს, თუ საქმე გაუჭირდათ 16 სა და 60 წლიანებსაც გაიწვევენ. ამის გამო გაზეთები მოითხოვენ, რომ ინგლისის ჯარი გადიდებულ იქნეს და სავალდებულო სამხედრო ბეგარა ირლანდიაზედაც გაავრცელონ.

— —

არის ცნობა, რომ ინგლისელები სრულიად ახალი მოწყობილების და გარეგნობის გემებს აშენებენ.

— —

ბრძოლის ველზე დაიღუპა ინგლისის სამხედრო მინისტრის გენდერსონის შვილი.

— —

საბერძნეთის მთავრობას გერმანიის ელჩთან თათბირის შემდეგ მოკავშირეთა წარმომადგენლებისთვის განუცხადებია, თქვენ მოგემხრობით და ბულგარეთს ომს გამოუცხადებთო.

— —

გერმანიის სოციალდემოკრატთა ყრილობაზე ლიდერ შეიდმანს განუცხადებია, ვიდრე მოკავშირენი თავდებნი არ გახდებიან, რომ გერმანიის თავისუფალ განვითარებას ხელს არ შეუშლიან, მინამდე ჩვენ ზავზე არ დავთანხმდებითო.

— —

ავსტრიელი ჯარი გალიციიდან ტრანსილვანიაში გადაყავთ, ხოლო მათ ადგილას ოსმალები მოყავთ.

— —

ასკვიტმა კომისია მოიწვია 51,3232 სხვადასხვა მოხელეს ჯარში გასაწვევად.

სამხედრო მიმოხილვა.

გუშინწინდელ დეპეშებიდან ვტყობილობთ, რომ გერმანელები რიგის დასავლეთით და დვინსკ პრიპიატის ხაზზე ზოგ ალაგას ენერგიულად ამოქმედებულან და რამოდენიმე საკმაოდ ძლიერი იერიშებიც მოუტანიათ რუსების წინააღმდეგ. ეს მომხდარა განკერძოებით, არაფერი სხვა, ან ჰაერით დაზვერა და საარტილერიო ბრძოლა არ მომხდარა. ასეთი იერიშები გამოწვეულია ხოლმე უფრო რამე მცირე მიზეზებით და არავითარი ფართე მიზანის მიღწევა, რასაკვირველია, არ ექნება დასახული ამისთანა ბრძოლებს. არ არის მოსალოდნელი, რომ ეს მხოლოდ დაზვერვა იყოს და, რომ ამას დიდი ბრძოლები მოყვეს.

მართალია, რაღაც ფაცა-ფუცში კი არიან ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილში, რაც სხვათა შორის იქიდანა სჩანს, რომ დასაზვერავათ აფრენილ რუსების რამოდენიმე ჰაეროპლანს გერმანელთა ოცი საფრენი გამოკიდებია და გამოუდევნია, მაგრამ მიუხედავათ ამისა აქ ამ მოკლე ხანში არაფერი თვალსაჩინო მოსალოდნელი არ არის.

გერმანელები ეხლა ყოველი ღონის ძიებას ხმარობენ, რომ როგორმე ბრძოლის პირი შეამოკლონ და ნუ თუ ეხლა გაიმეტებენ დიდ ჯარსა და სამხედრო მასალას, ისედაც ფართე ასპარეზის გაფართოებას და ისიც მოღონიერებულ რუსეთის წინაღმდეგ. ამნაირად გერმანელთა ეს ორიოდე იერიში ადგილობრივი მიზეზებით არის გამოწვეული და არავითარი არამც თუ ფართე სტრატეგიული მიზანი არამედ ბრძოლის პირის ოდნავი შესწორებაც კი არა აქვს მიზნად დასახული, რადგანაც ბრძოლის პირი ისე აქვთ გამაგრებული, რომ ყოველივე, თუნდაც მცირედი ცვლილება მხოლოდ შეასუსტდებდა მას და ეს ხომ საზარალო იქნებოდა თვით გერმანელებისათვისვე.

შვერელი.

ქ. ქუთაისი, 18 ენკენისთვე.

ორჯოფი ტაქტიკა. „სახალხო ფურცელი“ (იხ № 673) რჟევსკისა და მის თანამშრომლებს, ე. ი. ეგრეთ წოდებულ კონსტიტუციურ-დემოკრატებს, ანუ „კადეტებს“, დოქტრინჟორებს უწოდებს, რადგან უკანასკნელი კავკასიაში ერობის შემოღებას არ აჩქარიან და თავისი პრინციპის ხელშეუხებლობისათვის ჩვენი ქვეყნის რეალურ ინტერესებს სხვერპლად სწირავენ. ჩერნიშევსკის შემდეგ რუსთა შორის მიხაილოვსკის, როგორც მოაზრესა და თავისი დროის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა გამომცნობელს, ცალი არ ჰყავდა. და მისი სოციოლოგიური ფილოსოფია უმთავრესად სწორედ დოქტრინჟორობას და დოგმატიკოსობას ებრძოდა.

ის ამბობდა: ყოველი დოგმა, უპიროდ აღსარებული, კაცობრიობის მტერიაო. ამიტომ გმობდა ყოველსავე უკიდურესობას მარჯვნით და მარცხნით (იხ. მისი „შუიცა და დესნიცა„) ამავე მიზეზის გამო არ აღიარა მან მარქსიზმი. ამანვე გამოიწვია მისი ფილიპპიკები ცნობილის კატეგორიული იმპერატივის წინააღმდეგ, რომელიც აღიარებს: „ოღონდ კი სიმართლე სუფევდეს და, დეე, თუნდა ქვეყანაც დაიღუპოსო“.

ის გმობდა სიმართლეს სიმართლისათვისა როგორც მეცნიერებას მეცნიერებისათვისა და ხელოვნებას ხელოვნებისათვის (არა ჰგავდა ჩვენს ფუტურისტებს!) და ამბობდა: სიმართლეც, მეცნიერებაცა და ხელოვნებაც მაშინ არის კარგი, როდესაც ხალხს ემსახურებაო.

სამწუხაროდ, რუსეთის მოწინავე, პროგრესიულმა ინტელიგენციამ, თუმცა მიხაილოვსკი დიდ პიროვნებად აღიარა და გაადმერთა კიდეც, მაგრამ მისი მოძღვრების დედააზრი არ გაიზიარა და დოქტრინჟორობაზე ხელი არ აიღო. და დღეს რუსეთში, ვინც უკიდურესი არ არის, ჩამორჩენილ კაცად, რეაქციონერად ითვლება.

და საკვირველი ის არის, რომ ამ სენით მარტო სოციალისტები კი არა, ზომიერი ელემენტებიც კი შეპყრობილი არიან.

მაგალითად, კადეტების პოლიტიკურ სოციალური პროგრამა ზომიერია. ისინი აღიარებენ კერძო საკუთრებას და პოლიტიკური ცხოვრების თანდათანობითი განვითარების შესაძლებლობას ძველს პოლიტიკურ ფორმებში. მათი პროგრამა, მაშასადამე, ოპორტჟუნისტურია, ე. ი. შესაძლებელს, განსახორციელებელ იდეალს ისახავს მიზნად.

მაგრამ იმავე დროს რუსეთის მოწინავე საზოგადოებას დოგმატიზმი ისე გაბჯნილი აქვს ძვალრბილში, რომ კავასიის ერობის საქმეში კადეტებიც კი უკიდურეს დოგმატიკებად და დოქტრინჟორებად მოგვევლინენ და, ამის გამო, ჩვენში ერობის შემოღების დაჩქარებას ხელს უშლიან.

სხვა გვარად ვერ ვიფიქრებთ და ნება არა გვაქვს დავსწამოთ კადეტებს, ვითომ მათთვის სულ ერთი იყოს, გვექნება თუ არა ან როდის გვექნება ერობა, და ჩვენი საქმე მხოლოდ ბრძოლის იარაღად უნდათ იხმარონ. ეს რომ დაგვეჯერებია, მაშინ ხომ მათთან მოლაპარაკებასაც აღარ გავმართავდით და პირდაპირ ზურგს შევაქცევდით.

რაც შეეხება რჟევსკის, ის რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ტიპიური გამომხატველია. ის ამბობს: 1890 წლის ერობის ტიპის კანონპროექტი, რომელიც მეფისნაცვლის მიერ მოწვეულმა კრებამ მოითხოვა, ჩვენს კანონპროექტზე უარესია; ამიტომ, თუმცა ჩვენი პროექტი სახელმწიფო საბჭოს მიერ უარყოფილი იქნება, თქვენი მაინც უნდა დავიწუნოთ, რადგან მისი მოწონება ჩვენი დოქტრინის შეურაცხყოფა იქნებოდაო.

მაშასადამე, ის გვეუბნება: დეე, გაფუჭდეს საქმე, ოღონდ შებღალული ნუ იქნება დოქტრინა, მცნებაო. და, ცხადია, ამგვარ ტაქტიკას არაფერი არ აქვს საერთო იმასთან, რასაც მიხაილოვსკი ჰქადაგებდა.

მაგრამ, თუ ასეთები არიან კადეტები, შრომის ჯგუფი და სოციალდემოკრატები ხომ კიდევ უფრო უკიდურესები არიან! კარლო ჩხეიძემ, როგორც რუსის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, პირდაპირ განაცხადა, 1890 წლის ტიპის ერობას მხარს არ დაუჭერო. განსვენებული ვარლამ გელოვანი კი გვეუბნებოდა: შრომის ჯგუფის წევრობა ხელს მიშლის. სათათბიროს განსახორციელებელი კანონპროექტი წარვუდგინო და, კიდევაც რომ ვინმე ასეთი კანონ-პროექტი წარადგინოს, მე, როგორც უკიდურესი მემარცხენე, იძულებული ვიქნები კენჭის ყრაში ან სულ არ გავერიო ან პროექტს შავი კენჭი მივსცეო. რასაკვირველია, ვიდრე შრომის ჯგუფში იქნებოდა, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა!

ახლა ვკითხავ პატივცემულ ,,სახალხო ფურცელს‘‘: თუ სახელმწიფო სათათბიროში კვლავ ფედერალისტი იქნა დეპუტატად, სად უნდა დაჯდეს? შრომის ჯგუფში? მაგრამ მაშინ ხომ მან თავისი სამშობლოს ინტერესები დოქტრინას უნდა ანაცვალოს!

ცხადია, რომ, თუ ,,სახალხოს‘‘ კადეტების დოქტრინჟორობა არ მოსწონს, ,,შრომის ჯგუფის‘ დოქტრინჟორობაც და, მაშასადამე, თავისი დეპუტატის ,,შრომის ჯგუფის‘‘ წევრობაც უნდა უარყოს.

მაგრამ მაშინ ხომ თვითონაც ხელი უნდა აიღოს დოქტრინჟორობაზე და უნდა გაიზიაროს ის ფხიზელი, რეალური პოლიტიკა, რომელსაც ,,საქართველო‘‘ და ,,სამშობლო‘‘ აღიარებენ, ერთი სიტყვით ორში ერთი გზა უნდა აირჩიოს: ან უტოპიური, დოქტრინჟორული, საოცნებო, ან სწორი, რეალური, ოპორტჟუნისტური.

ორჯოფი ტაქტიკა კი, როგორც თავისებურობის უარმყოფელი, ყოვლად შეუწყნარებელია.

დროა, დაგვანახოთ, ბატონებო, ნამდვილი თქვენი სახე!

გასილ წერეთელი.

ღია წერილი

ქუთათურ ვაჭრებისადმი.

ამა წლის აპრილისა და მაისის სამ სხდომაზე ქუთაისის ვაჭრები რამდენჯერმე შეხებიან საკითხს ქუთაისის ვაჭართა საზოგადოების დაარსების შესახებ.

ვაჭრებისაგან დავალებულმა შევაგროვეთ საჭირო მასალები და მაისის უკანასკნელ სხდომაზე დაწვრილებით დაუსურათეთ დამსწრეთ მნიშვნელობა და მოვალეობანი ამ საზოგადოებისა.

ბ-ნმა რ. დათეშიძემაც საფუძვლიანად აუხსნა კრებას ვაჭართა საზოგადოების დაარსების აუცილებლობა ქუთაისში. იქვე კრებამ აირჩია ორი კაცი, რომელთაც უნდა გაეგო, რა გზით შეიძლებოდა ამ საზოგადოების დაარსება. აეღოთ ნებართვა და ვაჭართა მიერ ერთხმად გამოთქმული სურვილი რაც შეიძლება მალე შესრულებულიყო.

ჩვენ და ბ-ნმა რ. დათეშიძემ ყოველი ღონე ვიღონეთ, ყოველი ძალა ვიხმარეთ და საქმე დავაჩქარეთ; იმისდა მიუხედავად რომ ჩვენი თხოვნა თფილისში მეფის ნაცვლის სამდივნოში გაიგზავნა, იქიდან შეეკითხენ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს (შეკითხვა ტელეგრამით გავაგზავნიეთ) ხოლო ამ უკანასკნელმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გამართა მიწერ-მოწერა, რომელმაც თავის მხრით მეფის ნაცვლის სამდივნოსა უმართებულეს სენატისა ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა ცნობები და ინსტრუქციები მოსთხოვა, ყველა ჩვენს მიერ აღძრულ თხოვნაზე პასუხი სამ თვეში მივიღეთ.

ეს პასუხი, რომელიც სავსებით ეთანხმება ყველა ჩვენს სურვილს და ამავე დროს მთელი რუსეთის იმპერიის სამაგალითოდ „Правительственный Вѣстникъ“-ში გამოქვეყნდა, თქვენ — ვაჭრებს — გაძლევთ უადვილესს საშუალებას თქვენს მიზანს მიაღწიოთ, დაიარსოთ ქ. ქუთაისში ისეთი დაწესებულება, რომელიც ერთხელ და სამუდამოთ შეგაკავშირებთ თქვენ და რომელიც განავითარებს თქვენში ნამდვილ მოქალაქობრივ სულს და ასწევს თქვენს ღირსებას საზოგადოების თვალში.

ეს კავშირი მუდმივი საკუთარი კერა იქნება ქუთაისის და მისი რაიონის ვაჭრებისათვის, სადაც თქვენ შეგეძლებათ თქვენთან ერთად, თქვენს ენაზე ხელშეუშლელათ მოილაპარაკოთ ყოველ დღიურ ჭირ-ვარამზე.

ეს კავშირი მიაჩვევს ბევრ ახალგაზდა, გამოუცდელ ვაჭარს საზოგადო საქმეებზე დაფიქრებას, სხვადასხვა საკითხებში ჩახედვას; ბევრს, ძალიან ბევრს აღზრდის ეს კავშირი სულიერათა გონებრივათა და ზნეობრივადაც.

ვაჭართა საზოგადოება იქნება ცხოვრების საუკეთესო სკოლა ქართველ ვაჭრებისათვის.

იმის ნაცვლად, რომ ცოტათი წელ-გამაგრებულმა ვაჭარმა „აზნაურობას“ დაუწყოს ძებნა და მთელი წლობით ეძიოს ის წრე, რომელსაც უნდა მიეკედლოს, დღიდგან ვაჭართა საზოგადოების დაარსებისა ყოველი ვაჭარი ადვილად ჰპოებს თავის წრეს, რომელიც ას მიიკედლებს.

თუ რამდენიმე „აზნაური“ ვაჭარი არ ისურვებს ვაჭართა საზოგადოებაში ჩაწერას, ამითი ეს უკანასკნელი ბევრს არაფერს დაჰკარგავს და დანარჩენ თავის წევრებს კი დიდისაგან დიდ სარგებლობას მოუტანს, ვინაიდგან გულახდილად უნდა ითქვას, რომ ყოველი ვაჭარი მეტი თავისი საქმიანობით და [illegible] დიდებით უფრო ვაჭართა საზოგადოებას ეკუთვნის ვიდრე სხვა წრეს.

ვაჭართა საზოგადოების დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ძალიან ბევრი „აზნაური“ ვაჭარიც გადირიცხებიან ვაჭართა საზოგადოებაში, რადგან ისინი უმისოდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას დაჰკარგვენ, და უამისოდ კი ადამიანი ცხოვრებაში ვერაფერს გააკეთებს.*)

როდესაც რამდენიმე ვაჭრის სახელით ქალაქის გამგეობაში განმეორებით თხოვნა შევიტანეთ, ბ ნმა პ. ი. მოსიძემ დანიშნა კრება ვაჭრებისა. 4-სა და 14 ეკენისთვის კრებაზე ვაჭრებმა ერთხმად გადასწყვიტეს ვაჭართა საზოგადოების დაარსების საკითხი. საუბედუროთ, კრებას არ დაესწრო საკმაო რიცხვი, რომ არჩევნებიც მომხდარიყო, თუმცა მეორე კრებას კანონით უფლება ჰქონდა არჩევნებიც მოეხდინა, მაგრამ დამსწრეთ გადასწყვიტეს, კიდევ შეკრებილიყვნენ.

აი, სწორეთ ამ გარემოების გამო საჭიროდ მიგვაჩნია ვაჭრები რაც შეიძლება ამოძრავდნენ, მიიღონ ენერგიული ზომები, რომ, 1) შემდეგ კრებაზე მოვიდენ ისინიც (უმეტესად ებრაელები), რომელნიც გაუგებრობისა გამო არ ესწრებიან კრებას, რადგან 2) თუ პირველ იანვრამდე ვაჭრები მოასწრობენ საზოგადოების დაარსებას, მაშინ შემდეგი, 1917 წლისათვის, ვაჭართა საზოგადოებაში ჩაეწერება, გაცილებით მეტი წევრი.

რაც უფრო ადრე მოასწრებთ არჩევნების მოხდენას მით უფრო მეტი დრო გექნებათ ცხადათ აჩვენოთ თქვენს მოძმეთ და ამხანაგთ ამ საზოგადოების საჭიროება და მით უფრო მეტ წევრებს შეიძენს შემდეგი წლისათვის ახლათ დაარსებული საზოგადოება.

თუ ეკენისთვეში დაარსდება საზოგადოება, მთელი სამი თვის განმავლობაში თქვენ შეგეძლებათ ახალი წევრების შოვნისათვის ზრუნვა; თუ თქვენ ამ საზოგადოებას იანვარში დაარსებთ მთელი 1917 წლისათვის მხოლოდ იმდენი წევრი გეყოლებათ, რამდენიც ახლაა (54).

ჩვენ, თქვენ მიერ არჩეულებმა, ჩვენი საქმე და ვალდებულება უკვე შევასრულეთ ახლა საქმე ისევ თქვენ დაგიბრუნდათ. გამოიჩინეთ მხნეობა, სიფხიზლე, სიმარჯვე და დააჩქარეთ არჩევნები რომელიც უნდა მოხდეს ძველივე წევრების მიერ.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს რომ ქალაქის გამგეობა ეცდება ამ თვეშივე მოახდინოს არჩევნები, და ამით საშუალებას მისცემს ახალ საზოგადოებას მეტი ძალა და ენერგია შემოიკრიფოს ახალი — 1917 წლისათვის.

უმეტესათ თვით ვაჭრები ხართ ვალდებულნი, თუ თქვენ თქვენი საქმე გაინტერესებთ, თვითონ თქვენ მიიღოთ ზომები არჩევნების დაჩქარებისათვის. ამით თქვენ ახალ საზოგადოების საქმეს მთელი ერთი წლით წინ წასწევთ.**)

ტიტე მარგველაშვილი.

---

*) 532 მუხლს 1 შენიშვნის ძალით აზნაურებს უფლება ეძლევათ ივაჭრონ „съ сохраненіемъ ихъ званія или съ перечисленіемъ въ купечество“, რაც იმას მოწმობს, რომ აზნაური, თუ ის აიღებს ვაჭრის წოდებრივ მოწმობას და გადირიცხება ვაჭართა საზოგადოებაში, ის ამითი უკვე უარს აცხადებს თავის პირვანდელ წოდებაზე. კანონი იცნობს მოვაჭრე აზნაურს, მაგრამ „ვაჭარს-აზნაურს“ კი არა.

ავტ.

) ჩვენ სიხარულით ვეგებებით ვაჭართა საზოგადოების დაარსებას და ვეგებებით იმიტომ, რომ ამიერიდან უნდა მოისპოს ჩარჩული ხასიათი საზოგადოდ ჩვენებურის ვაჭრობისა და ჩადგეს იგი განათლებულ, ევროპიულ კალაპოტში. მტკიცე კავშირი ვაჭრებისა უნდა შეიკრას არა იმიტომ რომ, შეერთებულის ძალით უფრო მედგრად დაიცვან თავისი **პირადი ინტერესები, არამედ ეს შეერთებული ძალა უნდა მოიხმარონ მოსაწესრიგებლად სამართლიანი აღებ-მიცემობისა, შესაქმნელად ეროვნული საქმიანობის და ასაღორძინებლად ქართველი ხალხის კეთილ დღეობისა. მხოლოდ ძალა ქონებრივი და ძალა მორალური გამოიყვანს ჩვენს ხალხს უმეცრება გაჭირვებისაგან.

ჩვენის უკიდურესის აზრით ყოველი წრე, ყოველი ჯგუფი, ყოველი მიმართულება თავის ადამიანურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარეშე, მთელის თავისის არსებით უნდა ემსახურებოდეს ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივ აღორძინებას და საზოგადო საქმეს უნდა სწირავდეს თავის პირად კეთილ-დღეობას.

ამ შეგნებამდის თითოეულ პიროვნებას მიიყვანს საზოგადოებრივი ზეგავლენა და ამ მხრივ, ეჭვი არ არის, ქუთაისის ვაჭართა მომავალი საზოგადოება უსათუოდ დიდ გავლენას მოახდენს ისეთებზე, ვინც პირად სარგებლობის მეტს ამ ქვეყანაზე არასა ხედავს, რასაკვირველია, თავის ჩამორჩენისა და საზოგადოებრივ ალღოს უქონლობისა გამო.

რედაქტორი ი. ც.

ახალი ამბავი.

◆ 15 ენკენისთვეს, საღამოს 6 საათზე, უთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა ასწავლებლის ინსპექტორის ბ-ნ კ. ბ. აბარაევის განკარგულებით პირველად ობდა კრება ამავე სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელთაგან შემდგარ კო- ისიისა ყველა კლასების ქართული ენის როგრამების გადასათვალიერებლად. კო- ისიამ საკმაო ფართო პროგრამები დამუშავა.

◆ მომავალ იანვრიდან მთავრობის ქალებო სასწავლებელში შემოღებულ ქნება ისეთივე ,,შტატები‘‘, როგორიც რის შემოღებული სავაჟო გიმნაზიებში ა მასწავლებელთა ყოფა-მდგომარეობა ბევრათ გაუმჯობესდება.

საყურადღებოა, რომ ქართული ენის მასწავლებელნი არ ჩაირიცხებიან ,,შტატში‘‘, რადგანაც ქართული ენა ,,შტატ გარეშე‘‘, არა სავალდებულო ენად ითვლება.

კარგი იქნება ქართველმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მარშლებისა, თუ მშობელთა წრეების ირით სთხოვოს სათანადო მთავრობას ქართული ენის უფლება მოსილობა.

◆ ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორი ნ. ვიშნევსკი დაბრუნდა ბათუმიდან.

◆ შაბათს 17 სექტემბერს სახალხო შკოლების დირექციის დარბაზში დაიწყო სახალხო შკოლების ინსპექტორების თათბირი.

◆ ამ დღეებში ქ. ქუთაისში თბილისიდან შემოიარა საზოგადო მოღვაწემ ბ. ბ. გოთუამ, ბ. გოთუა ბათომისაკენ გაემგზავრა საქველმოქმედო საზოგადოების დავალებული საქმეების შესასრულებლათ.

◆ 18 სექტემბერს, ღამეს, ჰოსპიტლის ქუჩაზე იპოვეს ახლად დაბადებული ცოცხალი ბავშვი მამრობითი სქესისა. ბავშვი კერძო პირმა წაიყვანა გასაზრდელად.

◆ 15 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე ეტლების ხელოსანმა ს. ჟორდანიამ სასიკვდილოთ დანით დასჭრა გულში მეეტლე მ. ჩაგუნავა, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მოკვლის მიზეზი ყოფილა რომანიული კავშირი მოკლულის ცოლთან ქმრის თავიდან მოშორების მიზნით ცოლს წაუქეზებია ს. ჟორდანია მოეკლა მისი ქმარი. მკვლელი შეიპყრეს და იმყოფება პატუსაღოში.

◆ რედაქციამ მიიღო თ. მთავრიშვილის მიერ გამოცემული ვას. წერეთლის „ქართული სამეცნიერო და საფილოსოფიო ტერმინოლოგია ივ. პეტრიწის თარგმნის მიხედვით“.

◆ ქუთაისის სამოქალაქო ქიმიურ ლაბორატორიაში ანალიზი გაუკეთა ბაზარზე გამოტანილ სანოვაგეთა სხვადასხვა ნიმუშს. უმეტესი მათი ნაწილი უვარგისი გამოდგარა.

✱ ჩვენ მკითხველს ეხსომება, რომ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ ამ 5 წლის წინად გახსნა საღამოს კურსები, სადაც მეცადინობა ჩვეულებრივ იწყებოდა 1 ენკენისთვეს. წელს, ჯარის კაცთა გაწვევის გამო სწავლა დანიშნულ ვადაზე ვერ დაიწყო. განძრახულია კურსების გახსნა 20 ენკენისთვის შემდეგ.

◆ უფროს ჯგუფში მიღებულია სალექციო სისტემა. პირველ სემესტრში წაკითხულ იქნება შემდეგი საგნებიდამ: საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, მსოფლიო ისტორია, პოლიტიკური ეკონომია და ბუნების მეტყველება. ლექტორებათ გამგეობამ მოიწვია სათავად-აზნაურო გიმნაზიის ახალგაზდა მასწავლებელნი. ზოგიერთმა მათგანმა უკვე განაცხადეს თავიანთი თანხმობა.

მეორე ჯგუფში ასწავლიან რუსულ და ქართულ ენას და ანგარიშს.

უმცროს ჯგუფებში წელს მიღებულ იქნებიან ისეთებიც, რომელთაც წერა-კითხვა სრულიად არ იციან.

საღამოს კურსების სექცია იგივეა, როგორც წინა წლებში. სათავეში უდგას ქ-ნი ელ. ხელთუფლიშვილის ასული.

◆ ამ დღეებში ფოთის ქალაქის საბჭომ, რამდენიმე ხმოსნის წინადადების თანახმად, დაადგინა: ვინაიდან ნ. ნიკოლაძის დიდი ხნის ღვაწლი განხორციელდა და ფოთი სუფსის რკინის გზა უკვე შენდება, დაჯილდოებულ იქმნას ბატ. ნიკოლაძე იმ ფულების $30_0/^0$-თ, რომელიც ქალაქს შემოუვა ხსენებულ რკინის გზისაგან მიწების ფასად.

ნიხრი:

ქუთაისის გუბერნატორმა პირველ საჭიროების სანოვაგეზე ახალი ნიხრი დაამტკიცა. ნიხრი:

პური ფურნის მე-2 ხარისხის ოყა 26 კაპ., 3 ხარისხის 23 კაპ., თორნეში 2-რე ხარისხის 27 კაპ. 3 ხარისხის 24 კაპ., საკანდიტეროში ბულკი წონათ ნახევარი გირვანქა 6 კაპ., **ხორცი** პირველი ხარისხის დაუწონავთ 30 კაპ. 2 ხარისხის 25 კაპ., კამეჩის 15 კაპ., თხის 20 კაპ., ხბოსა და ცხვრის 30 კაპ., ღორის ხორცი 25 კაპ.

მარილი ფუთი 1 მ. 20 კაპ., გირვანქა 4 კაპ., ბაქოს მარილი 1 მან. გირვანქა 3 კაპ., ფოთის 1 მ. 20 კ., გირვანქა 4 კ., ბრინჯი აკულას 28 კ., გირვანქა საროჩინის 24 კაპ., მაკარონი და ვერმიშელი 21 კაპ., გირვანქა, **ლობიო** 3 მან. 40 კაპ. ფუთი, გირვანქა 10 კაპ. **კარტოფილი** გირვანქა 5 კაპ., ხახვი 10 კაპ., ლახანა 5 კაპ., პამიდორი 3 კ., შაქარი ნატეხი 21 კაპ., ფუთი 8 მან. 30 კაპ., ფხვნილი ფუთი 6 მან. 70 კაპ. გირვანქა 17 კ., სარეცხი საპონი ტოლეს 45 კაპ., ადესის 40 კაპ., კარტოფილის სანთელი 80 კაპ., გირვანქა., ასანთი ათეული 50 კაპ., თითო 6 კაპ.

ვაჭრობა მრეწველობა.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს გადაუწყვეტია, შუშის მწარმოებელთ რუსეთში დახმარება გაუწიონ.

——

იმავე სამინისტროს აზრათ აქვს სათათბიროს მომავალ სესიაში ნორმალურ დასვენების პროექტი შეიტანოს. ამ პროექტის მიხედვით სავაჭრო დაწესებულებებში უნდა შესწყდეს სრულიად მუშაობა დიდ უქმეებში, რომელთა რიცხვი წელიწადში 40 არ უნდა აღემატებოდეს. კვირაობით და სხვა მცირე უქმე დღეებში ვაჭრობა მხოლოდ 3 საათის განმავლობაში უნდა სწარმოებდეს.

——

ვისაც ღვინით ვაჭრობა უნდოდა, დღემდის ამ ვაჭრობის ნებართვის მიღების წესრიგი ასეთი იყო: ის პირველად თხოვნით მიმართავდა მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს და დაუსახელებდა ბინას, საცა უნდა ევაჭრნა. კომიტეტი თავის აგენტს მიანდობდა ნაჩვენებ ბინის დათვალიერებას და თუ ბინა შესაფერისი აღმოჩნდებოდა ვაჭრობისათვის, მთხოვნელს მოწმობას აძლევდა, რომ კომიტეტის მხრივ დაბრკოლება არ არის ამ კაცს ღვინის ჩამოსხმას ნება მიეცეს. ამ მოწმობით მთხოვნელი მიდიოდა გუბერნატორთან, რომლისთვისაც აგრეთვე უნდა წარედგინა პოლიციის ბოქ,ულის ანუ მამასახლისის მიცემული მოწმობა, რომ მას (მთხოვნელს) ამდენი და ამდენი დღიური ვენახი აქვს ამ მოწმობათა მიხედვით გუბერნატორი აძლევდა მთხოვნელს ღვინით ვაჭრობის ნებართვას – ამ შემოდგომიდან წესი შეცვლილია ამ რიგად: უკანასკნელი მოწმობაც შესახებ იმისა, რომ მთხოვნელს აქვს ვენახი, უნდა აიღოს ამ უკანასკნელმა მევენახეობა მეღვინეობის კომიტეტისაგან; პოლიციის მოწმობა აღარ გამოდგება.

——

13 ამა თვეს თბილისში ჩამოვიდნენ იაპონელები ბორონი ოგიმაჩი და ჯურაკუ მიაკოსი. პირველი მათგანი წარმომადგენელია იაპონიის სამთა-მადნო საქმეთა საზოგადოებისა და აზრად აქვს ამ საქმის ვითარება გამოარკვიოს ამიერკავკასიაში. უპირველესად ყოვლისა მასა სურს დახლოვებით გაეცნოს ალავერდისა და ალაგირის ქარხნებს, რისთვისაც მან სარეკომენდაციო წერილები სთხოვა თბილისის საბირჟო კომიტეტს. მეორე ჯურაკუ მიაკოსი, ქალ. ოსაკის სავალენტერიო ფირმის „სიმა და ამხ.“ წარმომადგენელია და აზრად აქვს დაწვრილებით შეისწავლოს თუ ამ დარგის საქონელი რამდენი და რა თვისებისა იხარჯება ამ ქვეყანაში.

ხომ არ ვიღუპებით?!

ესკიზი.

(ვუძღვნი ა. ანდრონიკაშვილის ქალის ხსოვნას).

— შენ. ჩემზე ბედნიერი ხარ, და!

— როგორ? რატომ ვარ შენზე ბედნიერი.?

— მიტომ, რომ ქმარი შენ არა გყავს და შვილი.

— შენ?.

— მე? ჰმ!.

ჩემი საკვნესებელიც ეგ არის, რომ ცოლიც მყავს და შვილებიც. სამი ერთმანეთზე მოყოლილი შვილი და ცოლი, ყოველგვარ საშვალებას მოკლებული, შინ—სოფელში მიყრია.. ეს მკლავს, მიწყალებს გულს. ჩემი ჰრილობების გამო ტკივილებიც, კი მავიწყდება, როცა მათ წარმოვიდგენ, ისინი გამახსენდება.

რა ეშველებათ საწყლებს უჩემოთ? უმამოთ? ვინ გაზრდის? ვინ უპატრონებს მათ?. ვინ გაათბობს? ალერსით სავსე მშობლიურ გულში, ვინ მიიკრავს, ვინ მოესიყვარულება?! ოოხ ჩემი ცოდვა? სიკვდილი! სიკვდილი და ასე უჩინარი, ლაჩრული, გაგონილა?. მტერი მე მინახავს და მებრძოლი!. არ შევხვედრივარ პირის პირ, რომ დამემტკიცებია ქართველური, ვაჟ კაცური სიმამაცე!. სადღაც, ვიღაცის ნასროლ ზარბაზნის ტყვიის ნაგლეჯი მომხვდა და აი, ვესალმები წუთი სოფელს!. აჰ! აჰ! აჰ!..

— ნუ კვნესი, ძმაო! ნუ ღელავ! ტკივილები კიდევ უფრო გაგიმწვავდება. აი, სადაც არის, ხმელეთიც გამოჩნდება. ჩვენი ხომალდი შვიდობით ხმელეთზე გაგვიყვანს. შენც მალე მორჩები. ცოლ. შვილის ნახვით გაიხარებ. და ეს სიხარული ბნელით მოცულ მაგ შავ ფიქრებს მწრაფლ გაგიქარწყლებს!.. უთხრა სათნოების დამ და მძიმეთ დაჭრილ მეომარს, შუბლზე ხელი გაუსვა.

— ძვირფასო დაო! შენით ვსცოცხლობ ამ ტანჯვებით მოცულ წუთებში!. —გულში ნადების გამჟღავნებამ, თუმც ამაღელვა, მაგრამ მასიამოვნა კიდეც!. აჰ, მარტო შენა ხარ ქართველი. მარტო ის, რათ მიღირს, რომ ამ უკანასკნელ წუთებში, მშობლიურ ენით გელაპარიკები!? და მერე სად?! აჰ, ამ უფსკრულ შავი ზღვის გულში, ქართული მუსაიფი მესმის!! თვალებს, რომ დავხუჭავ, ასე მგონია, ოჯახში ვარ!. ჩემი შვილები გარს მასევია და მათი ჟღურტული, ცელქური ენის ტიკტიკი მატკბობენ მეთქი. მე კარგათ ვგრძნობ, რომ ჩემი ჰრილობა მიმსხვერპლებს.. მძიმეა ჩემი ტკივილებიც, მაგრამ... მხოლოთ ერთსა გთხოვ. ამისრულე. აი ჩემი ადრესი.. როცა მოვკდე-ცოლ. შვილს აცნობე. ეგებ შესძლონ ტყვიებით დაკბეჩილი ჩემი გვამი მშობლიურ მიწას მიაბარონ. იქ, სადაც ჩემი წინაპრების ძვლები განისვენებენ-ცივ სამარეს მიმცენ... ჩემის მისვლით, შეხებით მაინც ვაგრძნობიო, რომ მეც თავი შევსწირე სამშობლოს ბედნიერებას, მეც მამაცურათ ვიბრძოლე! აი, ეს ჯვარი. გულიდგან ამაძვრეს და ჩემს უფროს შვილს-ვანოს გაუგზავნე. იგი მამიჩემის ნაჩუქარი მაქვს და მეც მას, ჩემს უფროს შვილს ვუტოვებ... აი, კიდევ....

— კმარა, კმარა, ძმაო! ლაპარაკი გაწყენს. სიკვდილისაგან ღმერთმა დაგიფაროს! ნუ გეშინია. არ მოკვდები. ყველა მშვიდობით გავალთ ხმელეთზე და იქ-საავათმყოფოში მოვლა—ექიმობას არ დაკლებთ.

— შენს პირს შაქარი ჩემო ძვირფასო, ჩემო ღვთაებავ! მაგრამ მე ვატყობ, რომ ამ ჰრილობას ვერ გადავიტან. აქ კიდევ, ვგონებ, ზღვაც ხთება ეს კიდევ უფრო გამიმწვავებს ტანჯვებს. ზევით, რაღაც ხმაურობაა!.! ხომალდი ძლიერ ირყევა!.. ნეტავი რა ამბავია, დაო?! ხომ არ ვიღუპებით?

— აჰ! რას ამბობ? რა ხმაურობაა?.. შენ გეჩვენება.. არაფერიც არ არის!..

— რაღაც ძლიერ ირყევა... ლოგინიდგან ვარდები.. ველარ დავკავდი... მიშველეთ!! მიშველეთ!.! ვიღუპებით! .

— არა, არა! ნუ გეშინია! არაფერი არ არის! მე აი ამ ავათმყოფს ავიყვან, ლოგინიდგან გადმოვარდა შენთანაც ახლავე მოვალ. ნუ გეშინია!.! საშიში, ღვთის მადლით, არა არის რა?! ხომალდი ირყევა, მხოლოთ.

— მიშველეთ! ვიღუპებით! ხომალდი იძირება.! გაისმა უცებ საზარელი ხმა ავათმყოფებში და ერთ წამს, როდესაც ვებერთელა ხომალდს უფსკრულ ზღვის სიღრმეში საუკუნო ბინის საძებრათ მიეჩქარებოდა,—სათნოების დას გრძნობა დაკარგული და დაჭრილი მეომარი მკერდზე მიეკრა და უსიტყვოთ, მხოლოთ საერთო გრძნობებით ერთმანეთზე გადაბმულნი, ზღვის ტალღებში იკარგებოდენ...

თეოფ. ხუსკივაძე.

ქართული თეატრის საქმე დ. სამტრედიაში

(„ერთის“ წერილის გამო)

სამტრედიის ქართულ თეატრს 20—25 წლ. ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ცვლილება—ხან შეფერხება-წაბორძიკება, ხან სწრაფი ნაბიჯით წინსვლა-განვითარება განვლო მან.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს ამასაც, ისე როგორც ჩვენს სხვა საზოგადოებრივ საქმეებს „დასობანის“ ზედ გავლენა დაეტყო და ლამის იგი დაქვეითება-გაქრობის გზაზე დააყენოს.

ეს „დასობანა“ კინკლაობა რომ არ იყოს სამტრედიის თეატრი დღეს მკვიდრ ნიადაგზე დადგებოდა და მიუხედავად დღევანდელი ათასგვარი დაბრკოლებისა, იგი მართლაც რომ სახალხო საქმედ გადიქცეოდა.

შენ ჩემობასა და „დასობანას“ რომ ფეხი მოუდგამს სამტრედიის თეატრის საქმეში, ამას ცხადად გვიჩვენებს გაზეთ „მეგობრის“ 155 №-ში მოთავსებული „ერთის“ წერილი სამტრედიიდან.

თუმცა ბ. „ერთი“ სცდილობს დასის გარეშე დასდგეს და „ნეიტრალური“ პოზიცია დაიჭიროს, მაგრამ იგი ამას ვერ ახერხებს და წერილში თავის „მიმართულებას“ ააშკარავებს. ეს არც საკვირველია და არც დასაგმობი, რომ ავტორი სისწორით გვიხატავდეს და სინამდვილით აგვიწერდეს საქმის ვითარებას.

სამწუხაროდ, სამტრედიის თეატრის საქმის დღევანდელ ვითარებას იგი ერთიანათ ასხვაფერებს, არევ-დარევითა და თავისებურად გვაცნობს.

ბ-ნ „ერთის“ სიტყვით სამტრედიას დღეს სათეატრო შენობა მოეპოვება, მაგრამ რადგანაც სცენის მოყვარეები გამოცდილი და ნიჭიერი არ მოეპოება მარტო შენობა ვერაფერს მოგვცემსო. არსებითად ეს მართალი იქნებოდა, რომ პატივცემულ ავტორს სამტრედიის თეატრის დღევანდელი სამწუხარო მდგომარეობა და არარაობა რეჟისორის ბ-ნ დ. კობახიძის ბრალი არ ეგონოს.

ყველაფრის მიზეზი ბ-ნ დ. კობახიძის „უნიჭობა და უკეთურობაა“ იმ კობახიძისა რომელიც „ერთ მიმართულებას“ მიჰკედლებია. ჰგონებს პატივცემული ავტორი, სამაგიეროდ როგორც კი „მეორე მიმართულების“ მომხრე რეჟისორი, ბ-ნი ალ. გუგუშვილი მიიწვიეს და საქმეს შეუდგა, მაშინ ყველაფერი რიგზე მოეწყო და სამტრედიის თეატრის საქმეც გაიჩარხა და წარმოდგენები გაჩაღდაო.

აქედან გულუბიყვილო მკითხველს ეგონება რომ თეატრის საქმე ყოველის მხრით დამოკიდებული ყოფილა ამა თუ იმ „მიმართულებასა“ და რეჟისორის პიროვნებაზე.

თავის წერილის დასაწყისში ავტორი გვარწმუნებდა, რომ საქმე უმთავრესად სცენის მოყვარეების მუყაითობასა და ნიჭზეა დამოკიდებულიო და ბოლოს კი აურია...

სამწუხაროდ რამდენი „ერთი“ და ორია ჩვენში ისეთი, რომ ჯერ არც „თავისი“ გაუგია არც „სხვისი“. ქარი საიდანაც დაბერავს, მათი გონებაცა და აზროვნებაც იქით მიჰქრის. დრომდის შეუძლებელია ასეთი ხალხის გაგება და ამიტომ მათ „შეგონებაზედაც“ ხელს ვიღებთ.

ჩვენი ვალია მკითხველებს ნათლადა და სამართლიანად დავუხატოთ სამტრედიის თეატრის დღევანდელი ვითარება და გაუთვალისწინოთ მისი სვე-ბედი. მოკლედ, აი როგორია სამტრედიის თეატრის ისტორიის თანდათანობითი განვითარების ამბავი.

მახსოვს სამტრედიაში წარმოდგენები თავდაპირველად სრულიად შემთხვევითი მოვლენა იყო; მერე რკინის გზის მოსამსახურეთა შორის აღიძრა სურვილი და აზრი მუდმივი სცენის დაარსების შესახებ და დაარსეს კიდეც, მაგრამ ქართული წარმოდგენა მაშინაც ძლიერ იშვიათი იყო.

მუდმივი ქართული სცენა სამტრედიაში მხოლოდ „ერთობის“ დროს გაჩნდა და მას შემდეგ თანდათან განვითარდა.

თავიდანვე ამ საქმის სულის ჩამდგმელი და მაცოცხლებელი ბ. „ერთის“ მიერ ათვალწუნებული მსახიობი დ. კობახიძე იყო: სამტრედიის მცხოვრებნი მას კარგად იცნობენ და სცენის მოყვარეები მუდამ მადლიერნი იყვნენ მისი. მთავარი დაბრკოლება ამ ხანებში შესაფერი შენობის უქონლობა იყო. [illegible] ხიძემ ამ დაბრკოლებასაც ნ. კიკაჩეიშვილთან შეთანხმებით ბოლო მოუღო.

დ. კობახიძისა და ამხანაგობის თაოსნობით 1915 წლის მიწურულში შესდგა წრე, რომელმაც ნ. კიკაჩეიშვილთან ერთად შენობის აგების საქმე იკისრა.

ამ წრის მეცადინეობით შენობა მართლაც მომზადდა და 1916 წლის თებერვალში წრემ პირველი წარმოდგენა გამართა.

ეს წრე და მისი რეჟისორი „ერთი მიმართულების“ სახელით გამოდიოდა, მაგრამ ამით საქმე არ შეფერხებულა. ვიდრე თვით წრეში სამწუხარო „შენ-ჩემობამ და მტრობა-შურიანობამ თავი არ იჩინა.

ამ წრეში ჯერ კიდევ კოლექტივი არ იყო არჩეული, რომ რეჟისორსა და ერთ მეთაურთაგანს შორის პირადი უსიამოვნება ჩამოვარდა. ის ერთი მეთაურთაგანი პირადი შეურაცჰყოფისა გამო აუხირდა რეჟისორ კობახიძეს, და მოინდომა მისი ჩამოშორება, მან ისარგებლა ამ უკმაყოფილებით, რომელიც სცენის მოყვარეებში უკვე არსებობდა დ. კობახიძე, როგორც „ერთი მიმართულების“ რეჟისორი ანუ „სასტიკი უფროსი“ სცენის მოყვარეთა ხმის უმეტესობით თეატრის საქმიდან განდევნა.

ეს იყო ნაყოფი სასტიკი შურის ძიებისა!

სცენის მოყვარეთა წრემ დ. კობახიძის ალაგას ალ. გუგუშვილი მიწვია, როგორც „ეროვნული თეატრის“ მომხრე, რისთვისაც ბ. „ერთი“ ქება-დიდებას უძღვნის მას.

ბ-ნ „ერთს“ ისიც წარმოუდგენია, რომ თუ ბ. ალ. გუგუშვილმა ზაფხულის სეზონში, თეატრის განახლების შემდეგ, მუშაობაზე ხელი აიღო და თავის კერძო საქმეებს გამოუდგა (სოფლებში წარმოდგენების მართვას) ეს ვითომ „ერთი მიმართულების“ ხალხის შურიანობითა და მტრობით მოხდა; თითქო ამავე მიზეზის გამო დასელთა წრემ საქმეზე ხელ აღებულ ალ. გუგუშვილის წინააღმდეგ ისევ დ. კობახიძეს მიმართა და თეატრის საქმე მას ჩააბარა. ბ. „ერთი“ აქ სინამდვილეს აშკარათ ღალატობს და მკითხველს უსწორო, არეულ დარეულ ცნობებს აწვდის. ნამდვილად კი ალ. გუგუშვილის გამო წრეში მიმართულებაზე ლაპარაკი სულაც არ ყოფილა და ის „ეროვნული მიმართულებისთვის“ არავის შეუწუხებია. ბ-ნმა გუგუშვილმა თვით უარჰყო სამტრედიის სცენა, რადგან სცენის მოყვარეთა წრე ამ დროს დაიქსაქსა და დიდი მეცადინეობა შრომა შეიქნა საჭირო, რომ ახალი „მუშაკები“ გამოსულიყვენ სცენაზე და წარმოდგენები მოეწყოთ. ბ-ნი ალ. გუგუშვილი სწორედ ამ საჭირო შრომა მეცადინეობას გაექცა და ამავე შრომა მეცადინეობის მეოხებით სამტრედიის წრეს და თეატრს კვლავ დაუახლოვდა დ. კობახიძე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს აქ სცენის ძველი მოყვარეები აღარ იყვენ და ახლების საშუალებით უნდა გამართულიყო წარმოდგენები, დ. კობახიძემ მაინც შესძლო საქმის მოგვარება და დაბა-სოფლის სცენის პირობაზე მართლაც კარგად დადგა ისეთი რთული პიესა, როგორიც არის „ქართველი დედა“.

ეს პიესა რომ კარგათა და მაყურებელთათვის სასიამოვნოდ იყო დადგმული, ამას ყველა დამსწრე დაამოწმებს და „ერთის“ გარდა არავის უთქვამს, რომ დ. კობახიძემ, პიესა გააფუჭაო ამას გარდა ამ ფაქტიდან აშკარად სჩანს, თუ რამდენად დაშორებული არიან დ. კობახიძე და მისი ამხანაგები ვიწრო პარტიულობისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი „ქართველ დედას“, რომელიც წმინდა ეროვნული პიესაა—არასოდეს არ დასდგამდენ. ამის შემდეგ თვით მკითხველმა განსაჯოს, თუ რამოდენი სიმართლე იფარება ბ. „ერთის“ წერილში და რამდენად მიუდგომელია იგი ბ. კობახიძის ნიჭის და შრომის დაფასებაში. დღეს, ომიანობის გამო, სამტრედიის თეატრს დიდი გასაჭირი დაუდგა და დ. კობახიძეც იძულებულია დატოვოს იგი.

ამნაირად, სამტრედიის თეატრის საქმე ამ შემოდგომაზე დიდ განსაცდელშია:

შეიძლება დროებით კიდეც დაიკეტოს.

მართალია, ამ ჟამად ამის მიზეზი სამტრედიაში გამეფებული „დასობანა“ არა არის, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ სამტრედიაში თეატრის ორი შენობის აგება სწორედ ამ „დასობანობამ“ გამოიწვია.

აღსანიშნავია რომ სამტრედია ამ სისხლის წვიმების დროს, ერთს შენობას აღარ სჯერდება, და ახლა მეორე უფრო კარგისა და შესაფერი შენობის აგება დაიწყო. ამის თაოსნობა „მეორე მიმართულების“ წარმომადგენლებმა იკისრეს და საზოგადო-საერთო მიწაზე მეორე სათეატრო შენობის აგებას მიჰყვეს ხელი

სათეატრო ასპარეზზე დასელთა წრის მეცადინეობამ მეორე მიმართულების ხალხის გაჯიბრება გამოიწვია და ისინიც ცდილობენ, რომ მომავალ ახალ ქართულ თეატრს სამტრედიაში, შესაფერი შენობა დაუმზადონ. როგორი იქნება ეს ახალი თეატრი და რა ნიადაგზე დადგება მისი მმართველი წრე, ამას დაგვანახვებს ის დრამატიული საზოგადოება (და მისი შემადგენლობა), რომლის დაარსებასაც სამტრედიელები ახლა შეუდგენ, (საზოგადოების წესდება დასამტკიცებლათ უკვე წარდგენილია).

თუ სამტრედიის საზოგადოება ფხიზლად შეხვდება ამ დასაწყისს და სათავეში ენერგიული პირები ჩაუდგებიან, თუნდაც ყველა ისინი იმ „ერთი მიმართულებისაც“ იყვნენ, თეატრის საქმე გამოკეთდება და მკვიდრ, გარკვეულ გზაზედაც დადგება. მაშინ დ. კობახიძეც და ალ. გუგუშვილიც თავის ადგილზე იქნებიან...

მაშ, ვუსურვოთ მომავალში სამტრედიის მესვეურთ მეტი მხნეობა, თანხმობა, „შენ ჩემობის“ უკუგდება, ბავშური თავ-თავმოწონება-მედიდურობის დავიწყება-დაგმობა და ხალხოსნურ ერთ გარკვეულ გზაზე მტკიცედ დადგომა.

ჯ ეული.

გაკვრით.

ქუთათურ ქალთა კერძო სასწავლებლებში მართლმადიდებელ ქართველებთან ერთად ჩვენი მოძმე კათოლიკენი და ისრაელებიც ბევრნი სწავლობენ. ჩვენი მეზობლების სომხის შვილებიც ურევია ამ მოსწავლეებში. ვინც ქართულ პრესას თვალყურს ადევნებს იმას უსათუოდ ეცოდინება, რომ მთავრობის ზოგიერთ საშუალო სასწავლებლებში როგორ გულგრილად ეკიდებიან ჩვენი ახალგაზრდები სამშობლო ენას. მათდა სამარცხვინოდ ალაგ-ალაგ იმისთანა მახინჯებიც ჩნდებიან ამ ახალგაზრდებში, რომ პირდაპირ, მათი გადაგვარებული მშობლების ზეგავლენით, უარს აცხადებენ ჩვენი ლამაზი ენის შესწავლაზე.

ქუთათურ კერძო პროგიმნაზიულ სასწავლებლებში კი გულის კარი გეხსნება ქართული ენის მასწავლებელს, როდესაც ხედავ, რომ ჩვენ მოძმე ქართველებთან ერთად დიდის აღტაცებით სწავლობენ ჩვენ სამშობლო ენას ჩვენი მეზობლის სომხის შვილები. ამ სასიამოვნო მოვლენის გაღრმავებას ერთ გარემოებას შეუძლია შეუშალოს ხელი და ამისათვის ფრთხილად უნდა ვიყოთ. ეს გარემოება ის გახლავთ, რომ ზოგიერთ ამ კერძო სასწავლებლებში ჩვენ მოძმე კათოლიკების, ისრაელების და სომხის შვილებს საკუთარი სამღვთო სჯულის მასწავლებელი არ ჰყავთ და ხშირად მართლმადიდებელ ქართველ მოძღვარს უსმენენ სამღვთო სჯულის გაკვეთილებს. რასაკვირველია თავის ნებით ასეთ სამღვთო სჯულის მასწავლებელს თუ გამოცდილება აკლია, მას შეუძლია სათუთი გრძნობა არა მართლმადიდებელ ჩვენი მოძმეების და სომხის შვილებისა გულ ნატკენ ჰყოს და მითი შეაძულოს მათ ქართული ენა. და რომ ეს ასე არ მოხდეს დიდათ სასურველია სამღვთო სჯულის გაკვეთილებზე ამ საგნის მასწავლებლებმა უპირატესობაზე, რასაკვირველია დოგმატიურ გარჩევას გარდა, საუბარი არ აღძრას და იგინი თავისუფალ მსმენელებად უგდეს.

მ. ბუაჩიძე.

სოფლის ცხოვრებიდან.

(პასუხად მღ. იოილ ფანჩულიძეს. იხ. გაზ. „სამშობლო“ 1916 წ. № 431).

(იხ. „სამშობლო“ № 438).

ოცდა ოთხი წელიწადია, რაც სამრევლო მღვდელი ვარ და ამ ხნის განმავლობაში თუთხმეტ წლამდი სოფელს თავსაში ვმსახურებდი და მას შემდეგ კი ჩხარის სამრევლოში ვმსახურებ დღემდი. პირველ ხანებში ს. თავსაში მე ვაკურთხევდი ხოლმე საკურთხებს, მაგრამ საკურთხ-აღაპებით არ ვსარგებლობდი ჩემს ოჯახში არაფერი მიმქონდა. თან ვცდილობდი ხალხში შეგნება შემეტანა და დამერწმუნებია იგი ამ უაზრო ხარჯების მავნებლობაში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ამისთვის მარჯვე დრო დავინახე, მე მოვსპე საკურთხ-აღაპების კურთხევა. ამ ჩემს ნაბიჯს თითქმის არავითარი უსიამოვნება არ გამოუწვევია ხალხში. საყვედური მხოლოდ ერთი იყო: „თუ მოსასპობია ყოველგან მოისპოს, თორემ მარტო ჩვენ უპურ-მარილობას დაგვწამებენო“, ამბობდა ხალხი, მაგრამ ამ გარემოებას მალე შეურიგდა იგი.

ვერ მოისვენა მხოლოდ ჩემმა მეზობელმა მღვდელმა რომელსაც არ მოსწონდა ამ ჩვეულების მოსპობა. მან აჩივლა თავისი ნათლისმამა ჩემზედ მღვდელმთავართან, რომ მას ცოლის საკურთხი არ ვუკურთხე. მღვდელმთავარმა თხოვნა უკანვე დაუბრუნა, შესაფერისი დარიგება მისცა მომჩივანს და დაარწმუნა, რომ ჩემი მოქმედება მისთვის საკეთილდღეო იყო და რომ მიცვალებულსაც არ მოვაკლებდი საჭირო მოხსენებას

მღვდელმთავრის მოქმედებით გამხნევებულმა მე ვრცელი წერილობითი მოხსენება შევიტანე მაშინდელი საეპარქიო კრებაზე საკურთხ-აღაპების მოსპობის შესახებ.

საკურთხ-აღაპების მოსპობის მომხრე არ აღმოჩნდა დეპუტატთა საკმაო რიცხვი, თუმცა მომხრეებიც იყვნენ. ზოგი ამბობს, რომ ნივთიერათ ხელმოკლე სამღვდელოებას ამ ჩვეულების მოსპობით შემოსავალი მოაკლდება და საზარალოაო. ერთმა მღვდელმა გ. ტ—მა ასე მომმართა კრებაზე: „შენ მამაო ვგონებ ხურჯინი არა გქონია; მე კი ხურჯინიც კარგი მაქვს და ხორაგსაც შიგ კარგა ვალაგებო“. ზოგიც იმას ამბობდა, რომ საკურთხ-აღაპების მოსპობა სარწმუნოებაზედ ცუდ გავლენას იქონიებსო საკვირველია ღმერთმანი, რომ ზოგიერთი სულიერი მამა სარწმუნოების დამამცირებელ ნამდვილ მიზეზების დასახელებას გაურბის და რაღაც კოკრების კურთხევლობაში ხედავს მის დაკნინებას.

დღეს სარწმუნოების დაკნინება უკვე ფაქტია, მაგრამ ამის მიზეზი არ არის კოკრების უკურთხებლობა. სარწმუნოების შემცირებას, გარდა მსოფლიო და უფრო ღრმა მიზეზებისა, ხელს უწყობს ზოგიერთ სულიერი მამების შეუფერებელი მოქმედება. ეს ადვილი სათქმელი არ არის, მაგრამ არც დასაფარავია, რადგან სენის დამალვა, წყლულებს უფრო გააღრმავებს. საუბედუროთ აღარა გვყავს ღირსეული მოძღვრები. ხშირათ, გუშინდელი ურწმუნოების მქადაგებელი, დღეს ანაფორაში გახვეულია და ხალხს სულიერ მოძღვართ ევლინება. სანამ მღვდლობაში თავს კარგად გრძნობს, ანაფორაც უყვარს; მაგრამ თუ განსაცდელი რამ დაადგა, იგი იძრობს ანაფორას და პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება ამისთანა მღვდელს ხშირად მრევლი ერთ მაზრაში ჰყავს და თვითონ კი სხვა მაზრაში სცხოვრობს, მარტო კვირა-უქმე დღეებში ეწვევა ხოლმე მრევლს, როგორც სიძე მოყვარეს. მოლხენა, თამადობა, საარშიყო სიმღერები, ცეკვა-თამაში, მთვრალობა და მრავალი სხვა სიგლახე ზოგიერთა მღვდლებისა ჩვეულებრივი შეიქნა. განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ბევრნი უვიცნი მქადაგებელნი ასე გაიძახოდენ: „რაც უფრო ცუდი და ზნე დაცემული სამღვდელოება ეყოლება ხალხს, მით უფრო უკეთესია; ხალხი შეიძულებს ამ ნაირ მღვდლებს და მათთან ერთად სარწმუნოებასაც და სარწმუნოებისაგან განვთავისუფლდებითო მაგრამ ურწმუნოება ხალხს განა ბედნიერებას მოუტანს?: არა და ათასჯერ არა. დღევანდელი ათას გვარი შანტაჟა ცარცვა-გლეჯა, კაცის გატაცება, ფულის მოთხოვა, მკვლელობა, ნაყოფია ურწმუნოებისა. გარეშე სარწმუნოებისა არ არსებობს სასუფეველი, გარეშე სარწმუნოებისა ხალხი ისე ვერ მიაღწევს ბედნიერი ცხოვრების ნავთსაყუდელს, როგორც რკინის გზის ლიანდაგზედ გადამცდარი მატარებელი დანიშნულ სადგურს, რომელიც მყისვე იმსხვრევა.

დიახ, ყოველივე ეს ზოგიერთების თვალში არაფერი და თუ საკურთხი მოისპო, ეს კი სარწმუნოებას დასცემსო. ჩემი მეზობელი მღვდელი მ. იოილ ფანჩულიძეც დიდი მოტრფიალე გამოდგა საკურთხ-აღაპებისა. რაც უსიამოვნება მომაყენა ს. თავსაში მეზობელმა მღვდელმა, იგივე გაიმეორა ს. ჩხარში მ. იოილ ფანჩულიძემ. სოფელ ჩხარში, როგორც ს. თავსაში მე თანდათანობით მოვსპე საკურთხ-აღაპების კურთხევა. დღევანდელმა უმაგალითო ომმა, მის მიერ გამოწვეულმა საარაკო სიძვირემ და სიმშილობამ მე მომცეს მარჯვე დრო, რომ საბოლოვოთ მომესპო საკურთხ-აღაპების კურთხევა. მაგრამ აქ შემინაწყინდა მეზობელი მღვდელი მ. იოილ ფანჩულიძე და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეს ხალხის საკეთილდღეო საქმე ჩამიშალოს. იგი ურჩევს ჩემს მრევლს არ დაავდოს ეს ჩვეულება, ვისაც გააბრიყვებს, შემოიჭრება ჩემს მრევლში და აკურთხებს ხოლმე საკურთხებს და მით სცდილობს განხეთქილება ჩამოაგდოს ჩემსა და მრევლს შორის.

ამ წლის მაისის თვეში მე პირადათ ვსთხოვე მას, რომ ჩემთვის ხელი არ შეეშალა, მრევლი არ აეღელვებინა და საკურთხ-აღაპებიც აღარ ეკურთხებია ჩემს სამრევლოში. მან პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ ამ უკანონობას აღარ გაიმეორებდა. მისი პატიოსანი სიტყვა ფუჭი დაპირება გამოდგა. მან ისევ განაგრძო ჩემს მრევლში შემოჭრა და საკურთხ-აღაპების კურთხევა. ერთი ამისთანა შემთხვევის შემდეგ, მე შევხვდი მას ქუჩაში სომეხ-გრიგორიანთა მღვდლის მ. არტაშეს გაფთმაჯიანის თანდასწრებით და საყვედური ვუთხარი ამ ნაირი მისი უწესო მოქმედების შესახებ. მან კიდევ უწინდელი პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ შემდეგში აღარ შემიშლიდა ხელს. მე მოვახსენე, რომ მისი პატიოსანი სიტყვა არა მჯერა, რადგან ამ პატიოსან სიტყვას არასოდეს არ ასრულებს და ამაზედ მღ. ფანჩულიძემ მომიგო, რომ დამალულს გამოცხადებული სჯობია, რომ იგი დემოკრატია და როგორც აგეთი, მუდამ შემოიჭრება ხოლმე ჩემს მრევლში და მსურველთ საკურთხ-აღაპების კურთხევაზე უარს ვერ ეტყვის. მე ვუპასუხე, რომ ამ გვარი მისი საქციელი დემოკრატიული მოქმედება კი არა (აქ მის საქციელს ცუდი სახელი ვუწოდე, მაგრამ ამ სიტყვას აქ არ მოვიყვან. სანამ ამას თვითონ მღ. ფანჩულიძე არ ისურვებს).

აი ეს არის ის შეურაცხყოფა, რომლისთვისაც ეს ღირსეული მოძღვარი სამედიატორო სამართალში მიწვევს. მოსამართლეებათ ასახელებს ორ მღვდელს. მე არ ვიცი ამ საკითხში როგორი შეხედულების არიან ეს მღვდლები და თუ მ. ფანჩულიძის თანამოაზრენი არიან, მაშინ ამ საქმეში იგინი მოსამართლეებათ ვერ გამოდგებიან. ეს საქმე საზოგადოებრივი ხასიათის საქმეა და დაე თვით საზოგადოებრივი აზროვნების სათავეში მდგომმა და საზოგადოებრივი აზროვნების გამომხატველმა, ქართველი გაზეთების რედაქციებმა გამოსთქვან ამ საგანზედ თავიანთი შეხედულება და თუ შემდეგ კიდევ მ. ფანჩულიძე ისაჭიროებს სამედიატორო სამართალს, მე ამასაც არ გავექცევი.

მღვდელი იასონ აბესაძე.

რუსეთი.

მოსკოვში გამოქცეულებს თანაგრძნობით აღარ ეპყრობიან; ქალაქს განუცხადებია მათთვის, ბინის ფული უეჭველად უნდა გადაიხადოთ და ვინც არ გადიხდის, გადავასახლებთო.

— —

ხარკოვის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას დიდძალი საჭირო მასალა ამერიკიდან გამოუწერია.

— —

მეფის მოადგილის განკარგულებით გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან სტავროპოლის ქალაქის თავი რადგანაც მას ნება მიუცია ქალაქის ხმოსნებისთვის კრიტიკა გაეწიათ სტავროპოლის სამხედრო პირების მოქმედებისათვის.

— —

ბიუროკრატიულ წრეებში ხმებია, პროტოპოპოვს დიდ თანამდებობაზე ნიშნავენო. მის მფარველათ ამ შემთხვევაში შტიურმერს ასახელებენ და იმედი აქვთ, რომ სასურსათო საქმე მოწესრიგდება პროტოპოპოვის დანიშვნისთანავე.

— —

ომსკში ერთი ხმოსანი სპეკულიაციისა და 800 ფუთი შაქრის გადამალვისთვის დაუტუსაღებიათ.

— —

დ-დი ინტერესით მოელიან ვენაში ყოფილ ელჩის შებეკოს დაბრუნებას.

— —

მინისტრთა უკანასკნელ სხდომაზე განუხილავთ სასურსათო საკითხი, ბევრი უმსჯელიათ, მაგრამ არავითარი პრაქტიკული ხასიათის გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

— —

მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია ჩაიზე, შაქარზე და ღვინოზე არსებული აქციზი ასწიოს. ამ ზომას მე-87 მუხლის ძალით შეიყვანენ ძალაში.

— —

შტიურმერი და ტრეპოვი ახლობელ მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო საბჭოს მომავალ სესიის მუშაობაში.

— —

მოსკოვის ტრამვაიზე მოსამსახურეებს ქალაქისთვის ეკონომიურ ხასიათის მოთხოვნილებები წარუდგენიათ.

— —

„რუს ვედ“-ის ცნობით, დაბრუნდება თუ არა იაპონიაში პრინცი კანინი, მმართველ წრეებში საგრძნობი ცვლილება მოხდებაო.

უცხოეთი.

მთელი გერმანიის სოციალ-დემოკრატთა კონფერენციაზე მეუმცირესებსა და ინტერნაციონალისტებს განუცხადებიათ, ჩვენ იმიტომ ვმონაწილეობთ კონფერენციაში, რომ ჩვენი კერძო აზრი გამოვსთქვათ მხოლოდაო.

— —

რიკსდაგოს (დანიის პარლამენტის) მემარჯვენე და მემარცხენე დეპუტატებს მთავრობისთვის მოუთხოვნიათ, რომ დასავლეთ ინდიის კუნძულების ამერიკაზე მისყიდვის საქმე პარლამენტს გადაეცეს განსახილველად.

— —

ამას წინად ინგლისმა აუკრძალა შვედელ მეთევზეებს კუნძულ ისლანდიისთან თევზების ჭერა. ეხლა ეს აკრძალვა მოუხსნია.

— —

ნორვეგიაში შემდგარა კომიტეტი, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს დაავადმყოფებულ ტყვეებს, მიუხედავათ იმისა, რომელ სახელმწიფოსი იქნებიან ეს ტყვეები.

— —

რადგანაც ამერიკის რკინის გზის მოსამსახურეთ პატრონებმა აუკრძალეს შრომის მომწესრიგებელ ბიუროში შესვლა, რკინის გზის მოსამსახურეებს გაფიცვა გამოუცხადებიათ

— —

სკანდინავიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების ქრისტიანიაში მომხდარ კონფერენციის მუშაობის შედეგი ჯერ არ გამოუქვეყნებიათ და ყველაფერი ბურუსითაა მოცული; არავინ იცის რისთვის იყო მოწვეული ეს კონფერენცია და რამ გამოიწვია, რადგანაც ოფიციალურ განცხადებას არ უჯერებენ და [illegible] მიზეზებს აწერენ მას.

— —

საბერძნეთის „ნაციონალურ თავდაცვის კომიტეტს“ დაუტუსაღებია ცნობილი ეპისკოპოსი ალათანგელოსი, რომელიც მაკედონიაში გერმანოფილურ პროპაგანდას ეწეოდა.

— —

კუნძულ კრიტოსზე აჯანყება ვითარდება. მეამბოხეებმა რამდენიმე ქალაქი დაიპყრეს და მთავრობის ჯარს ამარცხებენ.

— —

მანჯურიაში ჩინელ ბოროტ გამზრახველებს იაპონელთა რამდენიმე დარაჯი მოუკლავთ და მიმალულან.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს.	25 წ.	
„	— საღამ. —	8 ს.	50	„
ბათომიდან	— დღისით —	12 ს.	40	„
„	— ღამის —	2 ს.	20	„
ფოთიდან	— დილის —	10 ს.	26	„
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს.	50	„
შორაპნიდან	— დილის —	9 ს.	24	„

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	— დილის —	11 ს.	—	„
„	— ღამის —	12 ს.	15	„
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს.	3	„
„	— დილის —	5 ს.	55	„
ფოთისაკენ	— დღისით —	4 ს.	8	„
ტყიბულისკენ	— დილის —	6 ს.	20	„
შორაპნისაკენ	— დღით —	5 ს.	20	„

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილობს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით. თ.

ავი სენი.

უფრო მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. დე-ვეზის პრეპარატის საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავსანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულად წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს მხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა — ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან